

„დროები“ ს რედაქცია — სასაქონლო ქუჩაზე, დ. სა-
 რაფოვის სახლში.
 ხელის მოწერა მიიღება თბილისში. რედაქციაშივე;
 ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე
 მკვლევართათვის ადრესი: Тифлис, ред. „Дრობა“
 ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—
 8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—
 6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4
 მ. 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

დროები

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე
 8 კაპ.; პირველზე 16 კაპ. სრული სტრიქონის სტრიქონი
 დი 25 მანათი; პირველი 50 მან. წიგნის სტრიქონზე
 ბისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვა-
 ლობაზედ.
 თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს
 და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს
 დაუბეჭდავლ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს
 ავტორს.
 „Объявления изъ Россіи, Царства Польскаго и за
 границы принимаются только въ денг., конторѣ
 объявл. Л. Мещлѣ., Москва, Петровка, № 6

ცალკე ნომერა „დროებისა“ ღირს 5 კაპიკი.

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

„დროების“ ფასი აპრილის პირველიდან
 წლის დამთავრებამდე 7 მ. და 50 კ.; სოფლის მასწავ-
 ლებელთათვის 5 მან. და 50 კ.
 წლით ხელის-მოძღვრნი ამ წლის ეკვლა ნომერებს მიიღებენ.

უსაფრთხოება და წინდაუ- ხედავი წადილა

დროების 61 №-ში შინაურ ქა-
 ნიკის განყოფილებაში იყო დაბეჭდი-
 ლი შემდეგი ფრაზა სამწუხარო შე-
 ნიშნა: „ზორის თვით-მმართველების
 ზოგიერთს წევრებს შორის აღძრულა
 სურვილი საქალაქო თვით-მმართვე-
 ლობის დახურვისა“. ღმერთო ღიღე-
 ბულო! რა ძნელად გამოასატქმელა
 ეს წინადადება. მისაც კი გადაუთვა-
 ლიერებია საქალაქო მმართველობის
 ისტორია, ის უწყველად დარწმუნდე-
 ბოდა, რომ შემოღებული თანამედ-
 როვე ქალაქებში ავტონომიური მმარ-
 თველობა არის ლოგოკური შედეგი
 თვით ისტორიისა. იმ პრინციპს, რომ
 მელზედაც არის დამყარებული საქა-
 ლაქო თვით-მმართველობა, აქვს არა
 მარტო კერძო მნიშვნელობა, არამედ
 საზოგადოებრივი, საქვეყნო; ეს ცოტა-
 როდენ განვითარებულ კაცს აქსიომად
 მიანია. საქალაქო თვით-მმართველო-
 ბის პრინციპი განხორციელდა არა

უცებ, არამედ სხვა-და-სხვა საქალაქო
 მმართველობის სისტემების ბრძოლის
 შემდეგ; გაცივით აწერ ამ ბრძო-
 ლას:
 რომაელების ბიუროკრატიული სის-
 ტემის ძალით პროვინციაში ინიშნე
 ბოდა პროკონსული, რომელიც დეს-
 პოტიურად ასრულებდა თვის უფლე-
 ბას sine collegae et intercessionis;
 რომაელების ამ სისტემამ გასტანა
 476 წლამდინ, როდესაც ბარბარო-
 სულმა ხალხებმა დაიპყრეს დასავლე-
 თი რომის იმპერია და მის ნანგრევებ-
 ზე ახალმა სისტემამ იხარა; ეს სისტე-
 მა — ფეოდალიზმი, რომელმაც საქა-
 ლაქო მმართველობაშიაც შეიტანა
 ფეოდალური ელემენტები; საზოგა-
 დოდ ფეოდალური წეს-წყობილება
 საფრანგეთის პირველმა რევოლუციამ
 მოსპო 1789 წელს; ამის შემდეგ და-
 წესდა ყველა განათლებულს ეროპო-
 ულ ქალაქებში კოლეგიალური სის-
 ტემა, რომელსაც ავტონომია მიეცა.
 მაშასადამე საქალაქო ავტონომიური
 მმართველობა არის ნაყოფი ისტორი-
 ულის საქროებისა; ამ კანონიერი
 მოვლენის მოწინააღმდეგე თვის უფუ-

წერილი კუდიანეთიდან

ძველი გაღების პედაგოგია. მისი
 გავლენა ჩემზედ და დიდი ხუთშაბა-
 თის სიზმარი. თუაური კუდიანეთში. და
 მამია გურიელის, ა. ქაჭავაძის, აკაკი
 წერეთლის, სვანდელის, ცაგარელის,
 მესხის, ინაშვილის და მუხომბის სა-
 დღეგრძელო კუდიანეთში.
 ძველი გაღები გაზრდილებს ზღაპ-
 რებით შეაქცევდნ. მინ იცის, რას არ
 უამბობდნ ხოლმე ახალ-გაზდის ნორჩს
 გონებას! შინკები, ალები, ქაჯები,
 რომაპები, დევები — აი, სასაუბრო საგ-
 ნები ჩვენი აღმზრდელი გაღებისა.
 მეც, ჩემო მკითხველო, ხშირად მღე-
 ბია თავი გაღა-ჩემს, იაგუნდისას,
 კალთაში და ხშირად გამითენებია და
 დამიღამებია მის ტკბილს საუბარში.
 რომ ყველა მისი ნაამბობი დამსხომე-
 ბოდა, მგონი პეტრე შმიკაშვილის
 აპარტამენტშიაც არ დაეტეოდა, იმ-
 დენს ზღაპრებს შეგძენდი ჩვენს სა-
 ყმაწვილო ლიტერატურას. საყმაწვი-
 ლო ლიტერატურას-მეთქი, მისთვის
 ვამბობ, რომ ახლა ჩვენი ახალ-გაზ-

ღობა მელიას ზნეობაზე იზღება და
 დევ გმირების ლოლიკო იტყურება
 ხალხმე. ტყუილი არ გვეკონოთ: აი,
 თუნდ გადათვლიერეთ მთელი რუ-
 სეთისა და საქართველოს პირ-
 ეველ-დასაწყისი წიგნები. ამათ-
 ში სულ მელიას გაიძვერაობაზეა
 ლაპარაკი, რომის გმირობაზე, ფრთი-
 ანს გველებზე, ცხრა-თავიანს დევებ-
 ზე, მაგრამ ერთს საუბარსაც ვერ შე-
 ხედები რომელიმე ბუნების მოვლენა-
 ზე, ორს წინადადებას ვერ ამოიკით-
 ხავ კაცთა შორის ურთიერთობასა და
 დამოკიდებულობაზე. აღზად ეგ იმი-
 ტომ, რომ გაღა ჩვენის გაე-
 ლენას ვერ გაუფხლტით ხელი-
 დამ. მეც გაღა-ჩემის ნაუბარი ბეე-
 რი მიღვას თვალ-წინ. უმისობა არც
 შეიძლებაოდა. შმაწვილობიდან რაც
 გულში ჩაჰყვება კაცს, მისი ამოფხვრა
 ძნელია. ამას მოწმობს პსიხო-ჭიზიო-
 ლოგია და გამოცდილება. მანსვენე-
 ბულს ჩემს აღმზრდელს განსაკუთრე-
 ბით კუდიანების ყინი სჭირდა: ხან
 ჩვენი მესობლის დედაბერს მარებას
 შესვამდა გამოუწვავს ჭურზე და
 ბრუტ-საბძელიდამ შვეი ზღვის-პირზე,

ნურობას და აზრის მოუმწიფებლობას
 დაგვიმტკიცებს.
 ამისთანა მოვლენას, როგორც
 არის შორის თვით-მმართველობის
 ზოგიერთ წევრების სურვილი ჩვენს
 დროში დიდი მნიშვნელობა აქვს; სა-
 თემო თვით-მმართველობასაც (общин-
 ное самоуправление) ბევრი მტრე-
 ბი ჰყვანან, რომელ რიცხვში უპირ-
 ვალესი ადგილი ერთს ღირს ვინ-
 მეს უჭირავს. მე თანაფერძნობ ბ.
 მ. მართველიშვილისაგან წარმოთქმულ
 იმ კენჭმარტს აზრს, რომ ერობის
 შემოღებამ ამ მოკლე ხანში დიდი
 ღვაწლი დასდო სახემწიფოს, მაგრამ
 სამწუხაროდ ამ ერობის შემოღების
 მოწინააღმდეგენიც ბევრი არიან; ეს
 ფაქტი მით უფრო სამიშია, რომ წი-
 ნამძლოლად ამ ჯურის ხალხსა ჰკავთ
 იმისთანა ავტორიტეტი, როგორც არის
 ამ შემთხვევაში, რომლის-გამო მეგლა-
 პარაკობ, ეს ბობოლა შემდეგ quasi-
 ლოგიკურ სილოგიზმს ააძენებს: საქა-
 ლაქო თვით-მმართველობა აავკასიაში
 უფარგისია, რადგან თვით წევრები უარ-
 ჰყოფენ მას. თუ მართლა ბარში თვით-
 მმართველობა დახურეს, მაშინ იგი სწო-
 რედ რომ კაი სანახე სურათს წარ-
 მოადგენს: ერთი პროკონსულის მა-
 გერად მეორესაც დავენიშნავენ და
 თვით ქ. ბორშიაც „ხეყუცია“ თავს
 ამოჰყოფს. იმ გამოჩენილმა ზოგი-
 ერთმა წევრებმა არ იციან, რომ მთელ
 შორს სამზრეს უთხრიათ, რომელშიაც
 მალე ჩაცვივდებიან გორელები ზო-
 გიერთებიერთა; დაეიჯერო ამ ზო-

გიერთებს არ ესმათ თაიანთი უნა-
 ყოფო და წინდაუხედავი მოქმედება?
 იქნება ისინი იმდენად ბრმანი არიან,
 რომ თვით-მმართველობა უბრალო
 რამედ მიანათ? მაგრამ თვალ-ნი-
 ლუღნი რალს აკეთებენ და როგორ
 ვერ დააჯერებენ, რომ თვით-მმარ-
 თველობის შეღარებაც კი უწინდელ
 მმართველობასთან სრულიად შეუძ-
 ლებელია.
 ალ. გასწიკანაშვილი
 მარტის 28.
 ქ. მოსკოვი.

შინაური ქიანბიკა

— მთრცილოურს გაზ. ქავეკანშია
 ვკითხულობთ: „ბუშინ მიღებულის
 იმიერ-ქასპის მხრის ჯარის უფროსის
 ტელეგრაფით, რომელიც გამოგზავნი-
 ლია მარტის 25-ს ასხაბადში ტაშ კვა-
 რის ბანაკიდან, გენ. პომპროვი იუწ-
 ყება, რომ ნაშთი მარტის 18-ს და-
 მარცხებულის ავანელების ჯარისა
 ჰერთში გაიქცაო. ანაკლისი ავანე-
 ლებისა პირველად ნაჩვენებს რიცხვ-
 ზედ ერთი-სამად მომეტებულია; ბევრი
 დაიღუპა სიმშილითა და სიცივით;
 თორმეტი დღე და ღამის განმავლო-
 ბაში წვიმა და თოვლი მოდიოდა.

ბენ. ლემსდენისაგან დატოვებული
 ბანაკი ბალა-მურაბში ავანელებ-
 მა დასწევს. ინგლის-ინდოელებს ცხე-
 ნოსანი აქლემები, დატვირთულნი
 ცოლესი. მოლი და ნუ დაიჯერებ,
 როცა ყოველი მასი ნაუბარი სიხმრად
 მქონდა ხოლმე გადაქცეული. მე მე-
 ტად სანგინიკი ბავში გახლდით და
 ეს უფრო მიორკეცებდა ზღაპრის ძა-
 ლას. აწოლისას გამისხნიდა გულს,
 რომაპმა გული არ ამოგაცალოსო,
 სამჯერ ჯვარს გაღამწერდა, ფუეშმა-
 კოო, იტყოდა და დაიწვება ჩვეუ-
 ლებრის ამბავს. ჯერ კიდევ ძილ-მღ-
 ვიძრად ვიქნებოდი ხოლმე და ერთი
 საშინელი სურათი დამეხატებოდა
 თვალ-წინ. შევეკრებოდი და ერთს
 კიდევაც შევეკვლებდი. მაღაც გაიღ-
 ვიძრდა და წმიდა მიორგის სახელით
 ხელს პირზედ დამაუარებდა.
 რალა თქმა უნდა, რომ ამისთანა
 გარემოებაში აღზრდილს კაცს სიხმა-
 რი ხშირი და მრავალ-ფეროვანი ექმ-
 ნება, განსაკუთრებით მაშინ, როცა
 სისხლი აწუხნუხდება, ტაროსი დათბება
 და ქია-კოკონობა ატყდება ხოლმე
 სოფლებში. აღდგომის წინა კვირა
 სწორედ რომ კუდიანობის კვირაა
 ჩვენს საქართველოში. დიდ ოთხშა-
 ბათს საღამოს, როცა ვენახები სრუ-
 ლიად გაჩირაღდნეს და არული კუ-

სუქსათით და ავეჯეულობით სარიცხება წაასხეს.

პენჯეს ოაზისის სარიცხებისათვის დროებითი მმართველობა დაინიშნა. ჩვენი ჯარი ტაშ-ძებრესთან ჩიება.

ზემო მოყვანილნი ცნობანი ნათლად ვეხატავენ თუ რა ნაირი პატივისცემა აქვთ აღწერილთა და პენჯელ სარიცხებს თავიანთ მფარველების ინგლისელებისა და ამის განმარტებას საჭიროდ აღარ ერაძებთ.

მინცა და მინც იმედი უნდა ექონიოთ, რომ აწინდელი გარემოება საქმეს მშვიდობიანად დააბოლოებს და აღარავითარი ექვიანობა აღარ იქმნება ჩრდილოეთ-დასავლეთის პედანის სამზღვრების შესახებ. პენჯეს ოაზისში დროებითი მმართველობის დანიშვნა საჭიროებამ გამოიწვია, რადგანაც იქ ამ უკანასკნელ შემთხვევათა გამო სრული არეულ-დარეულობაა.

== შრომა ცუდი საქმე მოკვიდა „გამოჩენილს“ კბილის ექიმს მალტერს. მღეს მიი ბედი ოლქის სასამართლოს გამოამიბელების ხელშია. მალტერს დაბრალდა განგებ ცეცხლის წაქიდება მისი სახლის მორთულობისა და სხვა და სხვა საექიმო მოწყობილობისა, რომელიც 11,000 მანათლ ჰქონია მას დაღვეული.

== მეთაისი დამგვაცუობინებენ, რომ ამ თვის 14 ს მალლაკში დამწვარი გლეხების მდგომარეობა წარმოუდგენელია: მშვიტ-მწურვალნი ქალეი და პაწაწა ბავშვები ქარიანს და წემიანს ამინდში ღობეებს ეფარებიან, რომ სხვა თავის შესაფარებელი ადგილი ევლარ უშოვიათ; ქვემარტად ქვის გული უნდა ჰქონდეს ამთ გულგრილად მაყურებელს. მინ გამოუჩნდება შემბრაღე და მოწყალე ამ საცოდავებს! მისგან უნდა მოელოდნ შეველას ეს უბედურნი, რომელთაც

დიანის* ძახილი მთელს სოფელს აყრუებდა, საზარელი ს. ზმარი ეწახე: განი და იემ წინ ერთი დიდი გვარის ქალი, რომელიც რაღაც მანქანებით გაკუდიანებულ იყო. ჰუუუ, ერთი შემთხვევა, ჰკრა ჩანდარი მიძინებულს ღველფსა, წამოჰკრა ფეხი კერის ყუას, ამოთხარა მისი ძირიდან რაღაც ჯადონარევი ფშენილი მიწა, დამსვა ცოცხზე, ერთი მიწროჰუნა და ჰერი ბიკო! მოცხრიღე მალლა. წავატანე ხელი ტახტს, მაგრამ, შენც არ მომკვდე, მე იმან არ მიშველა, აღარც ქერმა წემიჩეა, აღარც სახურავმა, აღარც ღრუბელმა, წავედი, წავედი. შიქრის დრო აღარ იყო, მაგრამ უეცრად გამახსენდა ზამბეტა: ვთქვა ალბად ზამბეტაც ამისი საშუალებით აფრენილა პარიჟიდან, როცა პრუსიელები გარს ერტყენ ამ ცივილიზაციის და ანტიცივილიზაციის ქიპსა მეთქი. მალლა ნასროლი ისარივით მიგისინინებდი ამ უსახურო გარესკნელში, გამახსენდა შლამარიონის ვარსკვლავთა ტაბლიცა, სატურნი, ურანი, კომეტები და სხვა მრავალი ციური მნათობნი, მაგრამ ვინ ნახა ან ერთი!

გაუკითხა ბედმა ასე გაუმძარა ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაული.

== „ხოვე ობოზნიეს“ შეუტყუა, რომ სასეპიფო ქანებათა მინისტრს მიუფია კაკასიის სამეურნეოსაზოგადოებისთვის ასი თუმანი კაკასიაში აბრეშუმის ჭიის მოსაშენებლად.

== კაკასიის მთავარ-მართველს იმიერ-კასპიის მხარეში წასვლა ჯდარ მოუხდა; სამაგიეროდ ანდიას 2-ს იგი დადესტის მარხში წავიდა.

== გაზეთს „კაკასის“ ნამდვილად შეუტყუა, რომ ფინანსთა მინისტრმა გადასწვიტა გავზავნას ბაქოში ჩინოვნიკი, რათა მან შეეკრბოს საჭიროებები ბაქოში ასლად გასახსნელს იამშუკის შესახებ. მინისტრს ამ საგნისათვის ამოუჩნევია სტოლენხანდიკი გაჭრბისა და მანუფაქტურისა, კოლექსკი ასესარი შეუძახე, რომელიც მალე შეუდგება თავის მინდობილობის შესრულებას.

== „მოსკოვის უწყებებს“ აცნობებენ, რომ სასეპიფო ქანებათა მინისტრს განზრახვა აქვს ამ წელს გავზავნოს ტენიკები იმპერიის სსკა-და-სსკა ადგილებში, სადაც-ც მარდიის მადნები მოაპოვებან, რომ ასწავლონ მათ მცხკურებთ უფრო ადვილი საშუალებანი მარდიის გამოსახარებად.

== სამხედრო სამინისტროს შეუტანია სასეპიფო რეკაში წარდგინება, რომლის ძალითაც 1885 წელს რუსეთის იმპერიაში უნდა გაწერილ იქმნას 230,000 კარის გაცი.

წერილები რედაქტორთან!

I

შმორჩილესად გთხოვთ დაუთმოდ ადგილი ამ ჩემს ორიოდ სტრიქონს ბოლოს კუდიანი ვარსკვლავის კულში გაჩერდა ჩემი ზეცას-მფრინავი რაში—ცოცხი. ახლა მართლა ქუდიანეთში ვარ მეთქი, ვიფიქრე. არ გვეგონოს მკითხველო, რომ ეგ კუდიანი ვარსკვლავი იმათ ჰგავდეს, რომელიც ხან-და-ხან ჩვენს ცაზე გამოისიერნებს და ხან ახალ-გაზდა ქალებს დააოჩსულვებს, ხან ორსულვებს ტყუპებს ამოზანებს, ხან ქათმის ჭირს ასტებს, ხან ფრთიანს გველებს აჩენს. არა, ამ კუდიანი ვარსკვლავისთვის არც ერთს ასტრონომის დუბინდს არ მოუკრავს თვალი. მის კულში არის ერთი თვალუწვდენელი რაღაც ბროლისა და წყლისაგან შეზავებული ხმელეთ სველეთი. ამ ქვეყანას მისავალში საშინელი მალალი კედელი ავლია, რომელშიაც სხვა-და-სხვა სივრცის კარება აკიდებული. მართს დიდს კარებს, რომელსაც ჩემი მატარებელი მიადგა, ეწერა: „კუდიანეთი“. არ იფიქრო, მკითხველო, რომ ქართული ასოებით იქმნებოდა დაწერილი. მართულად საქართველოშიაც აღარასა სწერენ თორემ კუდიანეთში რაღას დასწერენ.

თქვენს პატივცემულს გავხეტს „დროებაში“, რომ იქნება თქვენის გავხეტის მოხებით მინც მეშველოს რამე საქმე ეს არის:

მე ვანლავართ სამღვდლო პართანის ქერივი წერილი ობლების პატრონი, რომელსაც სამშობლოს მხრით მახლობელ ნათესავად დამცქერის ცა, და ქმარის ნათესავების მხრით დედამიწა. ამ ორის მეტი არავენ ვიცი ჩემთვის მოწყალედ და ნუგეშის-მცემელ ნათესავად; განსვენებული ქმარი ჩემი მღვდელი კურსოენიკი ბაბრიელ ლუდიევი ჯერ ემსახურებოდა თრუსოს ხეობაზე აბანოს სამრევლოში *) სადაც 9—10 წლის განმავლობაში მოსპო ხალხში ქადაგებით და დარიგებით, ყოველივე ფესვებ-გადგმული ცრუ-მორწმუნეობა და ბოროტ-მოქმედება. შემდეგ გადმოყვანილ იქმნა აბანოს სამრევლოში, და ორგანვე თითქმის 12 წელიწადს მსახურების შემდეგ თქვენი ჭირის სანაცლო შეიქმნა, ხოლო მე დავრჩი ხუთის მცირე წლოვნის ობლით ულუკმა-პურადა; გარდა ერთი უნავრისა და ცხენისა არ დამჩენია ქმრისაგან არა ვითარი ქონება; დამრჩა მხოლოდ ოცდაათი თუმანი ვალი. — მოიმედე ვიყავი, რომ როგორც ნამსახურის კურსოენიკის ცოლს მთავრობა ჩემს უკანასკნელს მდგომარეობაში ყოფნას უფრადლებას მიაქცედა, უნუგეზოდ არ დამტოვებდა და დამენიშნებოდა რამე პენსია და შეილებსაც სასწავლებლებში სახემწიფო ხარჯზედ აღმინდიდენ. ახლა ზემოდ ნათქვამ რიცხვში მართა ერთი შეილი მყვანდა ობილისის სასულიერო სასწავლებელში სახელმწიფო ხარჯით და ავერ

*) ეს ის ხეობა და სამრევლოა, სადაც ჩემი ქმრის წინა-მოდგილე მღვდელი და სტაროსტა ორივე ერთად ერთ დღეს დახლცეს ყოვლის უმიზეზოდ წესიერად მოქცვისათვის.

მიადგა ცოცხი კარებს. ჩემი ამშენებელი კუდიანიც აქ დამხვდა, მოკვანმა ახლანდელი ინგლისური „სედლოთი“ ერთი ქონი-აყრილი მგელი, დამარტაფებია ჩვენი რუხვი კატა და შიგ ალაყაფის კარებში იდგა. ძარები ვაილო. მე მეგონა შიგ შემიყვანდენ. არ მოგეცეს ჭირი. ვეითხარი კუდიანურიო, მითხრეს. კუდიანური არ ვიცი, მეთქი. რაღა დროს ჩემი სწავლაა, თმაში ქაღარა გამომერია, მეთქი. არ და მიჯერეს, მომდგა ერთი კუდიანი, ჩამძახა ყურში კუდიანურად. რაფას გვეფთავახიფიფანო? მკ! ღმერთმა ისე კარგი დამა'თოს იფიფა მეც კარვად ვიცი მეთქი. და თამამად ეუპასუხე: მეყე მეფეფთავახიფიფან საჟამსოფონს-თქო. ქეთი ლი. ზამილეს მეორე დაბალი კარი და შევედი კუდიანეთში. ღმერთო, რაფი, არ ეწახე! სად იყო ამდენი კუდიანი აქტიორები! რაც დედა მიწაზე სულდგმული კაცია, ყველას თავისი კუდიანი აქტიორი ყოლია. მეთი აქტიორებსაც კუდიანი აქტიორი სენიები ჰქოლიათ. ზამახსენდა პლატონის


წარსულის წლის სექტემბრის ნახევარიდან დათხოვნილი დღესაც ობილისში სხვას ემსახურება პურის ჰამის გულისათვის. როგორც მესმის, ამისი მიზეზი ის ყოფილა რომ სამი წელიწადი ერთ კლასში დარჩენილა; ძლიერ კეთილი, — ეს მიზეზი მიზეზად კმარა, მხოლოდ მაშინ და არა უიმისოდ, უკეთუ ჩემს შეილს არა ჰქონდეს შესაწყნარებელი საბუთი, რომელიც არის შემდეგი: ჩემმა შეილმა, როგორც მთაში დაბადებულმა და მთის წმინდა ჰაერის ჩვეულმა, ვერ აიტანა ობილისის ჰაერი და მიღების დღიდან პირველისავე წლის განმავლობაში დაიწყო ავადმყოფობა: ხან აცივებს და ხან აცხელვებს; ავადმყოფობა დღესაც არ მოშორებია ტანიდამ. ჩემს სიმართლეს თვითონ იმევე სასწავლებლის ექიმი მერმიშევი დაამტკიცებს. ახლა, არ ვიცი რით ვაცხოვრო ხუთ-ხუთი მცირე წლოვანი შეილი. იქნება ბძანოს მკითხველმა, პენსიათიო; პენსიად ვიღებ სულ 25 მან. წელიწადში. ამით რომელი ერთი ნაკულუფევანება შევისრულო, ისიც ამ ალაგში, სადაც სხვათა შორის ერთი საყენი შევა 20 მანათილამ 30 მანათამდე ფასობს. რადგანაც არზის დასაწერი ფული არა მაქვს, ამიტომ ეს იქნება ჩემის მხრით არზის მაგიერი იმ იმედით, რომ ვისიც ვაღლია ყურადღებას მიაქცევს ამ საგანს.

ქკრევი მღვდლის ლუდიევისს ს — იო. კობი, მარტის 9-სა.

II

შმორჩილესადა გთხოვთ, თქვენს გავხეტში ადგილი მისცეთ ამ მოკლე მენიშნვას.

წარსულს კვირას, „თბილისის კლუბში“ გამართული იყო, „წერაკითხვის საზოგადოების“ სასარგებლოდ „კონცერტი“, რომელმაც დასწავლა და მისი იდეები; მე ვთქვა: ალბად ის რომ ამზობდა, ყოველს არსებას იღვათა ქვეყანაში თავისი პირველსახე ანუ პროტოტიპი ჰყავსო, სწორედ მართალი უნდა იყოს მეთქი, მაგრამ ეგ კულები რაღამ გაუყვთა, ეგ მაკვირებდა. ახლა რას აკეთებენ ეგ კუდიანი აქტიორები? იმათ მუჯამ წარმოდგენები აქვთ გამართული და მთელ დედა-მიწის ზურგზე რაც რამ მოხდება, ყველაფერს ადგენენ და ადგენენ. ამათ არ იციან ჩვენსავით დავიანება დანიშნულს დროზედ. მე რომ შევედი, მხდისა და ბორღონის კუდიანები თამაზობდენ. მკრევე საკვირველი სანახავი იყო ეს კუდიანები ჩემთვის. ბორღონს ზარბაზანი ექირახელში, რომელშიაც ოქროთი მოვარაყებულს ყუმპარებს ალაგებდა. ზარბაზანს ტუჩზე ეწერა: „ცივილიზაციის იარაღი მახდის, ზარბაზანს მაგიერად, ერთი დიდი კომპალი გავლო ზურგზე შეწარწერით: „ველურების იარაღი“; შეხვდა შორიდან ბორღონს და შეჰყვირა: შენ და შენი ზარბაზანი მისი ცივილიზაციით შევაჩვენოთ ჩემმა ძლიერმა მამამდამო; ესროლა ქო-



დის მეტადინეობის შემდეგ მანც საქმა ხალხი ვერ მოიხიდა და მოსა- ლოდნელი შემოსავალი ვერ მოგვცა. რა იყო ამის მიზეზი? რასაკვირვე- ლია, ვიდრე მიზეზის გამოკვლევას შევუდგებოდეთ, არ შეგვიძლიან მად- ლობა არ გამოვუცხადოთ იმ პირთა, რომელნიც საზოგადოდ ცდილობენ წერა-კითხვის გავრცელებას რაოდენი- მე გროში შემატონ და საკეთილო საქმე, რაოდენადაც შეუძლიანთ, წინ წასწიონ. აგრეთვე არ შეგვიძლიან გულითადი მადლობა არ ვუძღვნათ ყველა არტისტს და სცენის მოყვა- რეთ, ვინც ამ საქმისათვის საზოგა- დოდ მონაწილეობას მიიღებს ხოლმე და დაუზარებლად ახმარებს თავის ცოდნას, ხელოვნობას და ნიჭს სა- კველ-მოქმედო საქმეს. მაგრამ ამ გვარის საღამოების გამართავენს არ უნდა ავიწყდებოდეთ, რომ რა დროს რა იმართება, და დროს შესაფერია ამ გვარად გამართული საღამო, თუ არა.

ჩვენის აზრით ეს კითხვა სრულად შეეხება წარსული საღამოს გამარ- თავენს, რომელთაც არა სასაყვედუ- როდ ვეუბნებით, რადგანაც მათი მოქმედება უნაგარო, წმინდა და პა- ტიოსანი იყო, არამედ ვაგონებთ შემდეგისთვის სახელმძღვანელოდ:

კონცერტების გამართვა საზოგა- დოდ მაშინ ხერხდება: ა) თუ იმართება იმ დროს, როდესაც წარმოდგენების გაართვა რომელიმე მიზეზით მოს- პობილია ბ) ზაფხულობით, სადმე თავისუფალს ადგილს, როდესაც ყველა გაგრძელებული რამ კაცს თავს აწყენს ბ) როდესაც კონცერ- ტში ისეთი გამოჩენილი არტისტები იღებენ მონაწილეობას, რომელთ ხმის ვაგონება მეტად გაძვირებულია და საიშვიათო სიამოვნებად ჩაით- ვლება.

ჩვენს კონცერტებზედ ასეთი პირე-

ბი ვერ მიიღებენ მონაწილეობას, რადგანაც არა გვყავს და ის ხალხი- კი, ვისიც ნახვა და ვაგონება ყოველ- დღე შეგვიძლიან სცენაზედ და მას- სთან ერთად უფრო სერიოზულს და ხანგრძლივს მოქმედებაში, რასაკვირ- ველია, რომ ეს პირები ვერ მოიხიდა- ვენ საზოგადოებას და ყველა ამ გვარს საღამოზედ დამსწრე, თუმცა საქველ- მოქმედო საქმისთვის სიამოვნებით სწირავს თავის ხვედრს, მაგრამ საღამო- საგან დაკმაყოფილებული არ რჩება.

ღარჩენ მკითხველები ლექსებისა და სცენებისა, მაგრამ მათი ნიჭიერება და ხელოვნებაც ქაზუსდება, როდესაც სამუსიკო განყოფილებაში ლექსებსა და სცენებს ჩაურთავთ. ასეც მოხდა წარსულს კვირის საღამოზედ, რომე- ლიც კართველის საზოგადოებისთვის, იყო გამართული, მაგრამ განკარგულე- ბის მიმცემთა იმდენი ყურადღება არ მიაქციეს კონცერტის კართულს გან- ყოფილებას, რომ ამ ენაზედ მონაწი- ლეობის მიმღებნი სრულიად დაჩაგრი- ნეს ხხვებს.

ჩვენ არ გვინდა ესთქვათ, რომ ეს ყველა განგებ იყო მოხდენილი, მაგ- რამ ისიც უნდა მოვიგონოთ, რომ ყველა ამ გვარი საქმის დამწყების მო- ვალეობაა განსაკუთრებით ყურადღე- ბა მიაქციონ ამ საქმეს, ღირსეული პატივი სცენ მას, ღირსეული ადგილი დააქვინონ და არაოდეს სამწუხარო მდგომარეობაში არ ჩააგდონ.

რასა ჰგავს კართველი საზოგადოე- ბისთვის, კართულის წერა-კითხვის- თვის სასარგებლოდ გამართული კონ- ცერტი, სადაც ურიცხვს სიმღერასა, დაკრასა და ლექსთა კითხვაში, ქარ- თული სიტყვა მხოლოდ ორჯელ გა- ვიგონეთ ერთი ქალ. ბაზუნისა, რომელსაც სამწუხაროდ ხმა წასვლოდა და მეორეც ბატ. მაგალობლიშვილის სცენების კითხვა გლვს-კაცის ცხოვრე- ბიდან. მხედველობაში ყველაზედ უწინ

ლოკი და ორჯე ფეხები მოამტვრია: „ესეც შენს ცივილიზაციასო, წაიბუტ- ბუტა ერთმა ახლო მხლებელმა. მე უნდა გითხრა ომიანობის ვაგონებაც მძულს, თორემ შესახედავად ხომ სა- ზარელი იქმნებოდა ჩემთვის, ავდექი და განზე ვაუხუხიე. აქ შემეფთა ერ- თი კულ-მოჭრილი კულიანი და მითხ- რა: შენ, როგორც გეტყობა, კართვე- ლი უნდა იყო, რაღაც არხინად და- დინარო. „ღიად: კართველი ვარ. მეთქი. — აბა შენს ქვეყანას ვაჩვენებო. მე დიდის სიამოვნებით ვაყვევი. მა- მიყვანა ერთს ჯურღმულს ადგილზე და მითხრა: აი, თქვენი ქვეყანაო.

ღმერთო, რაები არ ენახე აქ! ჩემს მისელის დროს გამოვიდა ერთი კუ- ლიანი ჩეჩისორი და მთელი წლის რეპერტუარი წაიკითხა. უნდა გავტყუ- დე, რომ ნებიერიძის რეპერტუარზე უფრო მდიდარი რეპერტუარი იყო. სამოცი წლებიდან რაც კი დაწყებუ- ლა ჩვენში, ყველაფერზე არის ნაწე- რი თუ პიესები, თუ ლექსები, თუ სცენები და ცხოველი სურათები. მო- ნოლოგები მეტად შესანიშნავნი არიან. ზოდადის რელაქციად მოკიდებული

რასაც-კი ემსახურები, იმის ღირსების დაცვა უნდა გქონდეს და მარტო შე- მოსავლით არ ხელ-მძღვანელობდე, რადგანაც ამ გვარი საქმე პირადი კი არა, საერთო საკუთრებაა. ჩვენ იმედი არ დავიკარგავს, რომ წმინდას, გა- დახალისებულს კართულს ლიტერა- ტურულს საღამოს ოდესმე ენახეთ, როგორც დაგვირდა ერთს სხდომაზედ გადაწყვეტილებით ჩვენი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და მით ერთხელ მანც ეს საღამო თვალს დაატკობს ხალხით და სმენას ვაგო- ნებით.

ხმა საზოგადოებადამ.

უცხოეთი

აშლანის სამქმნი.

ნემეც. ვაზ. „Kölnische Zeitung“-ში სწერია: უცქველია, ყველასთვის საყუ- რადლებოა, თუ როგორის თვლით უყურებს აშლანის მძირი აშლანის სა- ზღვრებზე ატეხილს დავას და ან რა საარგებლობას გამოელის იგი ამ საქ- მიდამ. ინგლისური ვაგონებები ისე რი- ვალ სჯიან იმ შთაბეჭდილებაზე, რო- მელიც რაულ-პინდემი ჯარების და- ხედვამ მოახდინა აღმოსავლეთის დეს- პოტის განახლებულს ბუნებაზედ, რომ თითქმის ამ შთაბეჭდილებაზედ იყოს დამაარებული ბედ-იღბალი ბრიტა- ნიის იმპერიისა; დაუბოლოებელი მსჯე- ლობაა ამ საგნის თაობაზედ. მაგრამ აღმოსავლეთის კაცს უმეტესი პრაქ- ტიკული გამოცდილება ემჩნევა და თვის მდგომარეობას ნამდვილის კო- მერციულის მხრით უყურებს. აღმო- სავლეთის წერიმალ ხელმწიფეთ ხში- რად მოუხდებოთ ხოლმე გადაწყვეტა ერ- თის მძიმე საქმისა — რომელს, მათზე ძლიერს სახელმწიფოს მოსახოვონ შევლა, მეგზრონ — უმეტესად ძლიერს,

წერილნიო. ბოლოს გამოვიდა ერთი კულიანი ქალი და მაყურებელთ გა- სართობად ეს ლექსი წაიკითხა:

ის უცხო რამ კქუ-ს ბინა,
შოველ ბრძენთა საქებელი,
რაც კი ძალ გვიძა, იმა ხმითა,
მადლეგრძელოთ ჩვენ შაზელი.

რადგანაც მამულისათვის
ქეთილისა მსურველია,
ბულითა გესურს ვადლეგრძელოთ
ჩვენ შავქაჟაჟე ილია.

სწავლით და პატიოსნებით
საქები და საყვარელი
მეკრელოთ ენის მაგისტერი
მადლეგრძელოთ საგარელი.

რადგან ქალებს არ შემეწავს,
მისთვის ქებას არ ვაგრძელებ,
თორემ მომწონს და კიდევაც
აკაკისაც ვადლეგრძელებ.

სამშობლოსა რომ შემეწავს,
ამისი არ ითქმის ვარი,

თუ მას, რომელიც შედარებით უფ- რო სუსტია. აბდურაჰმანი, ცხაღია, გადასწყვეტდა უფრო სუსტისადმი მიკე- დლებას, რადგან იგი უმეტესს მისცემს. და, აი, მძირი რომელიც ღღემდის ჩუმად იყო, არავითარს საზღვრის გა- ყვანაზე არ ჰჭიკრობდა, უფრო იგრძ- ნობს, რომ რუსის ჯარის მოძრაობა საშუალო აზიაში მას საარგებლობას მისცემს. მან მოსთხოვა ინგლისელებს თვისის საბრძანებლის რუკა, სადაც ნახა, რომ საზღვარი მურაბისა და ჰერი-რუდის შუა, რომელიც გაივლის სერახზე, სარი-იაზია. აქედამ აღმოჩნ- და, რომ სარი-იაზის თურქმენები, რომელნიც პენჯეს მახრის ხან ერთ- სა და ხან მეორეს ალაგს იჩენენ ბი- ნას, მოვალენი არიან ღალა აძლიონ, რადგან ისინი საარგებლობენ ჰერათის მიდამოს საძოვრებით; ამიტომაც, — შეიძლება ინგლისის თანხმობითაც, — მძირმა უბძანა ჯარებს პენჯეს დაქე- რა. მაშინ რუსებიც წაიღენ წინ და ზულფიკარის გასავალი დაიჭირეს. მძირმა გენ. ლემსდენითურთ შექმნეს ყვირილი, ყვირილზე ბანი მისცეს ინგ- ლისურმა ვაგონებმა, რომელნიც ავა- ლებდენ ინგლისს — დაიკვას აშლანის ტერიტორია რუსებისაგან. მძირი კი ამ დროს ჩუმად იღიმება და ჰფიქრობს რაც შეიძლება მეტი ფული ასწაპნოს ინგლისს რუსეთისათვის იმ ადგილის დათმობაში, რომელიც მძირის საკუთ- რებას არასოდეს არ შეადგენდა, მით უფრო რომ რუსეთი, უცქველია მტკი- ცედ დაადგება ლესარისაგან ვაყვანი- ლის საზღვრის დაცვას. მძირი არ გასწმენდს თვის ჯარებისაგან პენჯეს, სანამ ინგლისი დიდ-ძალ ოქროთი არ აუესებს კალთას. — მსეთი იქმნება და- სასრული იმ ტრაგი-კომედიისა, რო- მელმაც ასეთი უბრალო აყალ-მაყალი ასტება ამ ვამად მთელს მეროპაში. მაგრამ ამ უბრალო აყალ-მაყალიდამ გამოს- ქვირს ის გარემოება, თუ როგორის


მადლეგრძელოთ ჩვენ სკანდელი,
ღირსი ჩვენგან სახსოვარი.

ძვერისათვის სასარგებლო,
მუზა-მემ აწყრომილიძე
ღენის სმითა მოუწყენლად
მადლეგრძელოთ მაენიძე

ის, რომელიც ერთის აზრით
ჯონ-სტუარტ მილს ედარება, —
ინაშვილის სადლეგრძელო
არას დროს არ მოგვეწყინდება.

ჰო! ის კეთილი კაცია
წერაშიაც სააქებო
მადლეგრძელოთ ჩვენ სერგვი,
მო, ალავერდი ქალებო!

ამ ლექსით გათავდა იმ დღის წარ-
მოდგენა. მომავალს ხუთშაბათს მგონი
ერთი კულიანი სააღდგომო მონო-
ლოგს იტყვის და რამდენადაც შესაძ-
ლებელი იქმნება, მოგაწვდენთ მისს
შინაარსს.



ორივეს ზომით სწონიან ინგლისელები ყველაფერს. თუ ისინი მოიწადინებენ რომელიმე მხრის შემოერთებას, საფუძველად მოჰკავთ ის გარემოება, რომ აუცილებელია ადგილობრივ მცხოვრებთა დახსნა ნახევრად ველურის მმართველთაგანაო, ანუ ადგილობრივ მცხოვრებ—ევროპელთაგანაო და ვაიხახიან, რომ ჩვენ მივანიჭებთ იმ მხარეს განათლებას, წეს-წყობილებასა. და ამ რიგადვე ავლან შიშ, რომლის მმართველი, როგორც თვით ინგლისელებმაც აღიარეს, მტარვალნი და სასტიკია, მოიწადინეს ინგლისელებმა წინააღმდეგობა გაუწიონ რუსის კულტურულ განზრახვათა. ინგლისის გმზრახვა გვერდთჳყავდეს ძლიერი და დამოუკიდებელი ავლანი, რომელსაც, თუმცა არა ერთხელ ემუქრებოდა თვით ინგლისიც და, მაშასადამე, რუსეთიც მოვალე იმ გვარისავე პატივისცემით მოეპყროს ავლანის საზღვრებს, როგორც ინგლისის საზღვრებს ეპყრობა. ამ გვარი პოლიტიკა ინგლისისა ანგარიშში უნდა იყოს მიღებული მომავალისათვისაც. ავლანის დღევანდელი მდგომარეობა დიდხანს ვერ გასტანს, რუსეთი მოისურვებს გაიგოს ვინ არის მისი (ავლანის) პატრონი, რადგან ამას თვით უღახელოენებულესი მოსამზღვრე კომისიაც კი ვერ გაარკვევს.

საზოგადოდ ბისმარკის პოლიტიკისაა, რომ წააქეზოს ერთი და მეორე მხარე—ინგლისიცა და რუსეთიც. და, მაშ, ცხადია ყველა ახსნის ესეთს მსჯელობას ერთის უძთაეჭვის გაზნეთაგანისას.

ბერლინი ში დიდი ხმებიანო, რომ ვითომც ინგლისი სტილიობდეს იტალიის მომხრობას, თუ ვინიცობაა რუსეთთან ომი მოუხდა მას. იტალიას, როგორც ამბობენ, ინგლისი სუდან ში გაგზავნის საომრად და თვით კი მთელის ჯარით გამოვა ჩრდილოეთელ მტერთან შესაბამელად.

ჯელოვრაძეები
„ჩრდილოეთის სააგენტოსი“
აპრილის 2-ს.

ნიქონი-ნიკოლოზი. ოკა და ვოლგა ყინულებისაგან განთავისუფლდენ ქალაქის სიახლოვეს.

პარიში. გენერალი ბრიერ-დე-ლილი იტყობინება, რომ ბრძანება ომიანობის შეჩერების შესახებ მივიღეთ; მაინცა და მაინც ფრანგულები ძალიან ფრთხილად არიან, თუ ვინიცობაა მტერი მოულოდნელად თავს დაესხა.

ბონაპარტი. საფრანგეთისა და ჩინეთის შორის კიდევ უთანხმოება ჩამოვარდა.

სწავლება

მაზანდა
ხორავისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, ღუქნებში და ხელდა-ხელ 1 აპრილიდან 1 მაისამდე 1885 წ.

გამომცხვარი შური რუ-სეთის ფქვილისა — 1 გირ. 5 გ.
 აქუჭის ფქვილისა: შირ-ქელის ხარისხისა — 1 გ. 2 1/2 გ.
 მეორისა — 1 გ. 2 გ.
 იმავე ფქვილ. თორწეში გამომცხვარი:
 შირქელის ხარისხისა — 1 გ. 4 1/2 გ.
 მეორისა — 1 გ. 3 გ.
 მესამისა — 1 გ. 2 1/2 გ.

ჭვარის-მამი შური:
 შირქელის ხარის. ღაგაში 1 გ. 4 1/2 გ.
 მეორის ხარის. ღაგაში 1 გ. 3 1/2 გ.
 მესამისა — 1 გ. 3 გ.

ძრახის ხორცი:
 შირქელის ხარისხისა — 1 გ. 9 გ.
 მეორისა — 1 გ. 8 გ.
 სუკა . . . — 1 გ. 16 გ.
 ცხვრის ხორცი — 1 გ. 10 გ.

ღორის ხორცი:
 შირქელის ხარისხისა — 1 გ.
 მეორისა — 1 გ.

რძინის გზა

თბილისიდან ბათუმისკენ მიდის 8 საათხედ და 31 წამ. დილით თბილისიდან მარტო საშურამდინ 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდან ბაქოსკენ 10 საათხედ და 45 წამ. დილით. (სამშაბათობით და შაბათობით სანქარო 10 ს. 58 წ. დამ.)

ქუთაისიდან თბილისისკენ 12 საათხ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათხედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდან თბილისისკენ 8 საათ. დილით.

ფოთიდან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდან ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის 10 საათხედ და 25 წამ. ღამით.

მარტო საშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის 8 საათხედ დილით

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში 2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან. (სამშაბათობით და შარასკეობით სანქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

განცხადებანი

პურპალი! პურპალი! პურპალი!!!
 ძალიან ბევრია ინგლისის მალაზიაში. იქვე ისეიდება ძალიან იაფად ერთი ნაჭერი მიწა მტკვრის პირხედ. (10-6)

გამოვიდა და ისეიდება
ზღაპრული პოემა ზ. ჭაბუკაშვილისა
ლოლა-პასკი
 გამოცემა „ნობათია-ს რედაქციისა, მენაში და პეტერბურღში ცინკოგრაფიით დამზადებულის სურათებით. შასი ყველგან სამაზახში.
 ისწილება: თბილისში—ნობათია-ს რედაქციაში, ზ. ჩარკიანის წიგნის მაღაზიაში, მ. შავერდოვის სააგენტოში და ქუთაისში—მმ. შილაძეთა წიგნის მაღაზიაში. გორში—ს. მგალობლიშვილისას. თელავში—ივ. როსტომაშვილისას. ბათუმში—მოსე ნათაძისას.
 მინც პირ-და პირ „ნობათია-ს რედაქციიდან“ ათს ეგზემპლიარს დაიბარებს, წიგნი ელირება ათი შურით. (10-10)

საგლობუსო კალმები
 ტურნამონსა და აპხ.
 რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ უსუფთაო ქალღმრთელად. მითად ერთი სააგენტო ინგლისის მალაზია—პარწრუნისიეულს ქარვასლაშია. იქვეა თვით ჭაბრიკიდან მოტანილი ყოველი აუარებელი სხვა-და-სხვა კალმები ყოველ „ხელისათვის“, 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე, აგრეთვე მელანი, ლაქი, ქალღმრთელი, კონვერტები, ყარანდაშები, რეგულები, კომპასები, ბუმაჟიკები, მაკრატლები, ტაბაკები (ფოდონსები), კლიონკები, სტაქნები, გრაფინები, ტანისამოსის ჩამოსაკიდნი, ნაჟდაკი, პატარა ჯოხები, იატაკის საწმენდები, ტანისამოსებისა და თმის შოტები, პირ-სახოცები, ქოჭინები (პომოჩები), ალბომები, თოფები, რეგოლვერები, სასტვენლები, გრიფილები, ასპიდის ქვის დაფები, ხელის საპნები, ფაიანსის თევშეულობა, სხვა-და-სხვა ხარისხისა, ყველაფერი 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე. უნდა გასინჯოთ აგრეთვე კალმები „გამოფენას“ (exhibition on pen, plume de l'exposition) 55 კაპეკად 144 ცალი, ანუ 5 კაპ. თორმეტი ცალი. ინგლისის მალაზია იმყოფება პარწრუნისიეულს ქარვასლის № № 95, 94, 93, 91, 90, 89, 88, 87, 86 და 85. (100-11)

ინგლისური მალაზია
 Maison de confiance და უდიდესი საწეობა ჩაისა და საქანღების-თბილისში, იმყოფება პარწრუნისიეულს ქარვასლაში № № 95, 94 93, (92 სამუსიკო მალაზია ღანკოსა) 91, 90, 89, 88, 87, 86 და 85, რადგანაც ინგლისური მალაზიის გამკვეთი ყოველთვის თვითონ მიდის სამხლკარ გარეთ ჩაის საუფლად და შირქელ ხელადან ჭეიდულდებს, ამიტომაც შეუძლია ჭეიდოს უკეთესი ჩაი და უფრო იაფადც ვიდრე სხვაგან სადმე. დასარწმუნებლად ჩაის მცნობებმა და შირქელ მოკრეფილას ჩაის დამოყარებლებმა შეადარან ჩვენი ჩაი 1 მან.—კაპ. ჩაის სხვაგან 1 მან. 20 ლირებულს.
 „ „ 1 — 20 — „ „ 1 — 50 —
 „ „ 1 — 40 — „ „ 1 — 80 —
 „ იშვიათი 1 — 60 — „ „ 2 — 20 —
 „ ჩინეთის ყვავილი 1 — 80 — „ „ 2 — 50 —
 „ ჭუნჭუნი 2 — „ — „ „ 2 — 80 —
 „ ფენოქნი 2 — 40 — „ „ 3 — „ —
 ტრაქტორები, ინსტიტუტები, მხანსტრები, პანსიონები და სხვანა დიდნი დაწესებულებანი, უქველად, დარწმუნებანი, რომ ვერსად ვერ იყადინ ასეთს სუნუელკანს და მაგარს ჩაის შემო-მოყვანილ ფასებად.

ჩაის ფასი ყოველთვის უქალღმრთელ იქნება.
 ქალაქს გარეშე მცხოვრები, ვინც 6 გირვ. ნაკლებს არ იყადის, გასაგზავნს ფასს მალაზია იკისრებს. იქვე იყიდება 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან: ეს-სენცია კაკოსა, ბასკვიტები, თეფშეულობა, კლეიანგა, უნგირები, ტაბაკები (ფოდონსები), დანები, მაკრატლები, კალმები, კრავოტები და სხვ.; ყველაფერი პირველ ხელიდან—აი სეკრეტი ინგლისური მალაზიის გასაცრის წარჩინებისა, რომლის გამო იგი ჭეიდის უჩვეულებრივო სიმკვლევეს ჩაისას, კალმებისას, ქალღმრთებისას, კრავოტებისას და სხვ... (100-11)